პილარ 3 - წლიური ანგარიში

ხალიკ ბანკი საქართველო
ხალიკ ბანკი
HALYK BANK GEORGIA

სარჩევი

შესავალი 2
ხელმძღვანელობის განცხადება ანგარიშგების სისწორის შესახებ 2
ბანკის მოკლე ისტორია, ძირითადი მაჩვენებლები და განვითარების გეგმები 2
მფლობელობა და ჯგუფის სტრუქტურა 4
მმართველი გუნდი 5
ინფორმაცია კაპიტალის შესახებ 10
ბანკის აქციონერთა საერთო კრება 13
კორპორაციული მართვა 14
კორპორაციული მართვა - დირექტორატი და კომიტეტები 15
რისკების მართვა 22
რისკის აპეტიტები 31
საკრედიტო რისკის მიტიგაცია 31
გარე ინსტიტუტების საკრედიტო რეიტინგები 32
გარემოს დაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები 33
ანაზღაურების პოლიტიკა 35

შესავალი

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს მიერ მომზადებული ანგარიშგება ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის პილარ 3-ის გამჭვირვალობის მოთხოვნებსა და ევროკავშირის N575/2013 დირექტივას, რომლის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით - "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი".

ხელმძღვანელობის განცხადება ანგარიშგების სისწორის შესახებ

ბანკის დირექტორატი ადასტურებს პილარ 3-ის წარმოდგენილ ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდაკონტროლის პროცესების დაცვით. აღნიშნული ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის აპრილის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

ბანკის მოკლე ისტორია, ძირითადი მაჩვენებლები და განვითარების გეგმები

ს.ს. „ხალიკ ბანკი საქართველო“ („ბანკი“) არის „ხალიკ ბანკი ყაზახეთი“-ს საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2008 წლიდან ოპერირებს.

2009 წელს ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საბანკო პროდუქტების გასაყიდად აუცილებელი პირობების შექმნა, კერძოდ, საბანკო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და საოპერაციო და საკრედიტო საქმიანობის შიდანორმატიული ბაზის ფორმირება.

2010 წლიდან მოყოლებული ბანკი აქტიური ოპერაციებითაა დაკავებული და საფონდო ბაზარზე ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და ბანკთაშორის ტრანზაქციებს. 2010 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ბანკი ჩაერთო სესხების გაცემის აქტიურ პროცესში, რაც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

ბანკს აქვს ცხრა წარმომადგენლობითი ოფისი (ფილიალი/სერვის ცენტრი), აგრეთვე, ბანკომატებისა და საგადახდო ტერმინალების ქსელი. ცხრიდან სამი ოფისი განთავსებულია დედაქალაქის გარეთ - ბათუმში ქუთაისსა და ფოთში, დარჩენილი ექვსი ფილიალი ფუნქციონირებს დედაქალაქში. ბანკის მიზანია წარმატებული საქმიანობა გააგრძელოს ყველა ძირითად საბაზრო სეგმენტში, მათ შორის საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესისა და კორპორატიული ბიზნესის სეგმენტებში. ამ მიზნით, ბანკი კლიენტებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს: საკრედიტო და სახელფასო პროდუქტებს, მიმდინარე ანგარიშებსა და ვადიანი ანაბრების დიდ არჩევანს, საგადახდო ბარათებს, დისტანციურ საბანკო სერვისებსა და დოკუმენტურ ოპერაციებს. ბანკს მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს ჩადებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგადახდო სისტემების განვითარებაში და წარმატებულად სთავაზობს ინოვაციურ საბანკო პროდუქტებს. ბანკს აქვს საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობები, რომელთა საშუალებით საბანკო გადარიცხვები ხორციელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბანკი ჩართულია საერთაშორისო სისტემაში SWIFT და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაში (RTGS).

სს „ხალიკ ბანკ საქართველო“ არის განვითარებაზე ორიენტირებული, სრული სერვისებით აღჭურვილი ბანკი, რომელიც ძირითადად პოზიციონირებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორატიულ სეგმენტებში, რაც გრძელვადიან თანამშრომლობასა და უმაღლესი ხარისხის ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე გათვლის შედეგია. აგრეთვე ბანკი მიზნად ისახავს, რომ მასთან ანგარიშის მქონე ფიზიკური პირებისთვის მთავარ ბანკად იქცეს, რის გამოც ის მუდმივად მუშაობს ფინანსური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და საცალო კლიენტებისათვის ახალი, ინოვაციური

პროდუქტების შეთავაზებაზე. ბანკმა 2024 წელს მოახერხა SME პორტფელის 19%-იანი და საცალო პორტფელის 20%-იანი ზრდა. მომავლის თვალსაზრისით, სტრატეგიული აქცენტი რჩება მცირე და საშუალო ბიზნესზე, საცალო სეგმენტის წილის ზრდის პარალელურად.

სებ-ის მიერ გამოცემული კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი მთლიანი აქტივების ოდენობით მიხედვით მეცხრე ადგილზეა, ხოლო საბანკო სექტორში წილმა 1% შეადგინა.

2024 წლის დეკემბერში „Fitch Ratings"-მა კვლავ დაადასტურა სს „ხალიკ ბანკ საქართველოს" გრძელვადიანი სესხის გამცემი დეფოლტის რეიტინგი დონეზე „BB+", თუმცა სხვა ქართული ბანკების მსგავსად გაუარესდა პროგნოზი, კერძოდ, „ნეგატიურამდე", რაც ქვეყანაში გაზრდილ პოლიტიკურ რისკებს ასახავს.

ბანკი მუდმივად მუშაობს სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და კლიენტებისათვის ახალი, ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებაზე. ბანკი, მომდევნო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საცალო მიმართულებას. ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ კომპონენტად, საბანკო პროდუქტების შემუშავებასთან ერთად, განიხილება პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ბანკის ფილიალების ქსელისა და დისტანციური მომსახურების არხების განვითარება.

მფლობელობა და ჯგუფის სტრუქტურა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებულ აქციებს ფლობდა შემდეგი

აქციონერი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
პირველი დონის აქციონერი:		
სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთი“	100%	100%
სულ	**100%**	**100%**

სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის“ ძირითადი აქციონერები არიან სს ჰოლდინგი ალმექსი 69.6% და The Bank of New York (ნომინალური მფლობელი) 28.4%. სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის“ საბოლოო მფლობელები არიან ტიმურ კულიბაიევი და დინარა კულიბაიევა.

სქემატური ილუსტრაციის სახით, მოცემულია ინფორმაცია ბანკის მფლობელებისა და ჯგუფის სტრუქტურის შესახებ:



ნიკოლოზ გეგუჩაძე

გენერალური დირექტორი

განათლება

- ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
- 1998 წ. ფინანსების ბაკალავრი, ფულის მიმოქცევა და კრედიტი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა
- 1991-1996 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი

სამუშაო გამოცდილება

- 2008.01 სს "ხალიკ ბანკ საქართველო" -ს გენერალური დირექტორი.
- 2007.03 ფინანსური შემფასებელი, MONEYVAL-ის მესამე ადგილზე შეფასება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ზომებთან დაკავშირებით "ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში". საქართველოს ეროვნული ბანკი
- 2003.07 - 2007.07 საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი.
- 2002-2016 საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შეფასების რჩეულ ექსპერტთა კომიტეტში (MONEYVAL)
- 2002.02 საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- 2001.11 არა-საბანკო სადეპოზიტო ორგანიზაციების ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- 2000.01 საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს საბანკო პოლიტიკის განყოფილების უფროსი.
- 1999.03 საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს ანგარიშგების განყოფილების უფროსი
- 1998.03 საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს დოკუმენტალური შემოწმების განყოფილების უფროსი ეკონომისტი
- 1996.03 საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს დოკუმენტალური შემოწმების განყოფილების ეკონომისტი
- 1999 - 2001 საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ტრანსკავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონალური ჯგუფის მდივანი კ/ბ "საქართველოს ბანკი"
- 1995.01 სავალუტო განყოფილების უფროსი ეკონომისტი
- 1994.07 ფულად-საკრედიტო განყოფილების წამყვანი ეკონომისტი
- 1993.02 ბუღალტერი

კონსტანტინე გორდეზიანი

გენერალური დირექტორის მოადგილე

განათლება

- 1995-2001 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იურისტის დიპლომი
- 1989-1994 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ეკონომისტის დიპლომი

სამუშაო გამოცდილება

- 2008 წლის იანვირიდან - ს.ს. "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე
- 2005-2007 ს.ს. "კასკად ბანკი საქართველო"-ს გენერალური დირექტორი
- 2003-2005 ს.ს. "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს (ვი-თი-ბი ბანკი) გენერალური დირექტორის მოადგილე
- 2002-2003 საქართველოს ეროვნული ბანკის საავალუტო სამმართველოს უფროსი
- 2001-2002 საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- 2000-2001 საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს დოკუმენტალური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი
- 2000-2000 USAID -ის საბანკო ზედამხედველობის პროგრამის კონსულტანტი
- 1995-2000 საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი
- 1994-1995 კომერციული ბანკი "ამირანი"-ს საკრედიტო დეპარტამენტის მთავარი ეკონომისტი

შოთა ჭყოიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

განათლება

- 1992-1997 საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი - თბილისის სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი

სამუშაო გამოცდილება

- 2010.03 - სს „ხალიკ ბანკი საქართველო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე
- 2008 - 2010.03 სს „ხალიკ ბანკი საქართველო"-ს რისკების მართვის სამმართველოს უფროსი
- 2008.05 - 2008.11 სს „ხალიკ ბანკი საქართველო"-ს საკრედიტო ანალიზის სამმართველოს უფროსი
- 2007.10 - 2008.05 სს „თიბისი ბანკი"-ს სავაჭრო დაფინანსების უფროსი
- 2006.12 - 2007.09 სს „კასკად ბანკი საქართველო"-ს კომერციული დირექტორი
- 2006.01 - 2006.12 სამშენებლო-საინვესტიციო კომპანია „ლიბო"-ს ფინანსური დირექტორი
- 2005.03 - 2005.12 სადისტრიბუციო კომპანია "პონტო სტარი"- ფინანსური დირექტორი
- 1997.08 - 2005.03 სს „ემპორიკი ბანკი საქართველო"-ს საბუღალტრო დირექტორი
- 1997.04 - 1997.08 შპს "აუდიტი და ფინანსური კონსალტინგი", აუდიტორი
- 1995.08 - 1997.04 სს „თბილკომბანკი"-ს ბუღალტრის თანაშემწე

მარინა ტანკაროვა

გენერალური დირექტორის მოადგილე

განათლება

- 1988 – 1993 - ყაზახეთი, მართვის სახელმწიფო აკადემია, ეკონომისტი, ფაკულტეტი - ფინანსები და კრედიტი

სამუშაო გამოცდილება

- 2014.04 - სს „ხალიკ ბანკი საქართველო "-ს გენერალური დირექტორის მოადგილე
- 2010.10 - 2014.04 - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის", საცალო გაყიდვებისა და მომსახურების დეპარტამენტი - საცალო და საბარათე პროდუქტების სამმართველოს უფროსი
- 2009.06 - 2010.10 - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის", საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების დეპარტამენტი - საცალო პროდუქტების სამმართველოს უფროსი
- 2006.02 - 2009.06 - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის", საცალო გაყიდვების დეპარტამენტი - მომსახურებისა და ანგარიშგების სამმართელოს უფროსი, საცალო გაყიდვების სამმართველოს უფროსი
- 1997.04 - 2006.02 - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის", საცალო ბიზნესის დეპარტამენტი, - მთავარი სპეციალისტი, მენეჯერი, უფროსი მენეჯერი, მთავარი მენეჯერი
- 1996.05 - 1997.04 - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის", საცავის კონტროლიორი, წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი, ფულადი სახსრების მიმოქცევის განყოფილების უფროსი
- 1994.09 - 1996.05 - ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, ალმატის მთავარი ტერიტორიული სამმართველო, ფულადი სახსრების მიმოქცევის სამმართველო, ეკონომისტი
- 1993.06 - 1997.09 - კაზკომბანკი „კაინარი ", ეკონომისტი.

თამარ გოდერძიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე

განათლება

- 2014/08 The George Washington University, Project Managment, მაგისტრის დიპლომი
- 2004/03 Europian School of Management - სტრატეგიული მართვა, კომუნიკაცია , მარკეტინგი
- 1993-1998 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაკულტეტი - კომერცია და მარკეტინგი საერთაშორისო ვაჭრობაში, უმაღლესი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი

სამუშაო გამოცდილება

- 2017/10 - დღემდე სს "ხალიკ ბანკი საქართველო"- გენერალური დირექტორის მოადგილე.
- 2015/01 - 2017/10 სს "ხალიკ ბანკი საქართველო" საკრედიტო ანალიზის სამმართველოს უფროსი
- 2013/01 - 2014/12 სს "ხალიკ ბანკი საქართველო" - საშუალო და კორპორატიული ბიზნესის დაკრედტირების სამმართველოს უფროსი
- 2011/01 - 2012/12 სს "ხალიკ ბანკი საქართველო" - საშუალო და კორპორატიული ბიზნესის დაკრედტირების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
- 2010/07 - 2012/12 სს "ხალიკ ბანკი საქართველო" - მცირე ბიზნესის დაკრედტირების სამმართველოს უფროსი
- 2008/02 - 2010/02 მისო „FINCA საქართველო “- ცენტრალური ფილიალის მმართველი/თბილისის რეგიონალური მენეჯერის მოადგილე
- 2006/07 - 2007/01 მისო „FINCA საქართველო “- ისნის ფილიალის მმართველი
- 2004/08 - 2007/01 სს „პროკრედიტ ბანკი “- საკრედიტო მეთოდოლოგიის უფროსი ექსპერტი
- 2002/03 - 2004/07 სს „თბილუნივერსალ ბანკი “- „სერვის+ “, ტრენერი
- 2001/03 - 2003/02 სს „თბილუნივერსალ ბანკი “- საკრედიტო ექსპერტი
- 2003/03 - 2004/07 სს „თბილუნივერსალ ბანკი “- უფროსი საკრედიტო ექსპერტი/საკრედიტო კომიტეტის წევრი
- 1998/08 - 2001/02 სს „თბილკომბანკი “- ანგარიშთა მენეჯერი

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 76,000 ერთეული სრულად განაღდებული ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 ლარს, ასევე სრულად განაღდებული 37,500 ერთეული პრივილეგირებული აქციისგან, რომელთა ნომინალური ღირებულება 1,600 ლარია.

2024 წლის პირველ კვარტალში ეროვნული ბანკის გეგმის შესაბამისად კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი (კცკ) განისაზღვა 0.25%-ით,რომელიც ეტაპობრივად გაიზრდება და 2027 წლის პირველ კვარტალში მიაღწევს 1%-ს.

ბანკი აქტიურად მუშაობს დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნებაზე. მთლიანობაში ბანკს გააჩნია საკმარისი კაპიტალი მარეგულირებელი და შიდა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს სრულად აქვს შესრულებული სებ-ის მოთხოვნები. კერძოდ:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი (CET1) – 187,615 ათასი ლარი, მოთხოვნილი 148,941 ათასი ლარის ნაცვლად;
- პირველადი კაპიტალი - 247,615 ათასი ლარი, მოთხოვნილი 178,634 ათასი ლარის ნაცვლად;
- მთლიანმა საზედამხედველო კაპიტალმა შეადგინა 264,500 ათასი ლარი, მოთხოვნილი 217,952 ათასი ლარის ნაცვლად.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული ჩარჩო-პრინციპების ფარგლებში,

ბანკი ვალდებული იყო, დაეცვა მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები „კაპიტალის ადეკვატურობის

მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ დოკუმენტის შესაბამისად.

პილარ 1- ის მინიმალური მოთხოვნებია:

- ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5%
- პირველადი კაპიტალი - 6%
- მარეგულირებელი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - 8%

პილარ 1-ის დამატებითი ბუფერებია:

- კაპიტალის კონსერვაციის (კკ) ბუფერი;
- სისტემური რისკის ბუფერი;
- კონტრციკლური კაპიტალის (კცკ) ბუფერი.

პილარ 2-ის ბუფერები:

- სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის (სკცსრ) ბუფერი;
- კონცენტრაციის რისკის (კრ);
- წმინდა სტრესის (წს) ბუფერი;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი (GRAPE);
- საკრედიტო რისკის კორექტირების (კრკ) ბუფერი.

სს„ხალიკ ბანკი საქართველო“-ს კაპიტალის კოეფიციენტები მიმდინარე და წინა წლის პერიოდისთვის შემდეგია:

კაპიტალის კოეფიციენტები ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით	31.12.2024		31.12.2023	
	ფაქტი	**მოთხოვნა**	**ფაქტი**	**Requirment**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	19.99%	15.87%	19.47%	15.51%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	26.38%	19.03%	22.94%	18.79%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	28.18%	23.22%	25.43%	23.12%

ბანკი უზრუნველყოფს საზედამხედველო რეგულაციებთან შესაბამისობას IFRS-ზე დაფუძნებული რიცხვებით და მიდგომებით. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, ეროვნული ბანკის საზედამდეველო წესებისა და კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მიხედვით, ასე გამოიყურება:

	დეკემბერი 31, 2024	**დეკემბერი 31, 2023**
ჩვეულებრივი აქციები	**76,000**	**76,000**
აქტივების გადაფასების რეზერვი	**2,037**	**1,840**
გაუნაწილებელი მოგება	**117,494**	**97,969**
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები	**(7,916)**	**(7,282)**
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**187,615**	**168,527**
დამატებითი პირველადი კაპიტალი	**60,000**	**30000**
პირველადი კაპიტალი	**247,615**	**198,527**
ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	**16,885**	**21,572**
ზოგადი რეზერვი, მაქსიმუმ საკრედიტო რისკის შეწონილი რისკის პოზიციების 1.25%-ის ოდენობით.	**n/a**	**n/a**
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**264,500**	**220,099**
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**938,717**	**865,590**

ძირითადი პირველადი კაპიტალი	**19.99%**	**19.47%**
პირველადი კაპიტალი	**26.38%**	**22.94%**
საზედამხედველო კაპიტალი	**28.18%**	**25.43%**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის განაღდებული პრივილეგირებული აქციები არის დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი. სუბორდინირებული დეპოზიტი ჩათვლილია მეორად კაპიტალში შესაბამისი ამორტიზაციის გათვალისწინებით.

ბანკში, რისკის მართვის გაერთიანებული სისტემის ფარგლებში, ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები. ბანკის სტრატეგიული და რისკის მართვის ამოცანების ცხადად ჩამოყალიბებასა და დასაშვები რისკის მაჩვენებლების დაცვასა და გონივრულად მართვას, ხელს უწყობს აღნიშნულ პროცესში ყველა მმართველობითი რგოლის მონაწილეობა, კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა პირთა შორის ეფექტიანი კომუნიკაცია.

ბანკის მმართველობის სტრუქტურა უზრუნველყოფს ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების ადეკვატური დონის არსებობასა და მოვალეობათა მკაფიო გამიჯვნას. დასახულ ამოცანებზე ზოგადი პასუხისმგებლობა აკისრია სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო დირექტორთა საბჭო („საბჭო“) ზედამხედველობას უწევს და ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.

რისკის მიხედვით, შეწონილი რისკის პოზიციები ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს ფარგლებში, შეადგენს 938,716 ათას ლარს, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:

რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
საკრედიტო რისკი მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	849,309,234	781,552,957
საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	2,442,101	4,632,050
საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	86,965,483	77,020,183
სულ რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები	938,716,819	863,205,190

აქტივების ხარისხთან დაკავშირებული დამატებითი კოეფიციენტები:

დამატებითი კოეფიციენტები	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	10.7%	9.6%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი / მთლიან სესხებთან	2.24%	2.7%

ლიკვიდობასთან დაკავშირებული კოეფიციენტები

ლიკვიდობის კოეფიციენტები	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 20223**
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	12.5%	14.3%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	8.0%	11.4%

ბანკის აქციონერთა საერთო კრება

<u>აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს "ბანკის" უმაღლეს ორგანოს.</u> საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება ერთპიროვნულად, აქციონერთა მიერ და ექვემდებარება წერილობით გაფორმებას.

აქციონერთა მორიგი საერთო კრება ტარდება წლიური ბალანსის შედგენიდან არაუმეტეს ორი თვის ვადაში.

"აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე" მტკიცდება "ბანკის" წლიური ბალანსი, განისაზღვრება "ბანკის" გასული საფინანსო წლის წმინდა მოგების განაწილების წესი, დივიდენდის ოდენობა "ბანკის" ერთ ჩვეულებრივ აქციაზე გაანგარიშებით და ასევე, სხვა საკითხები "ბანკის" "აქციონერთა საერთო კრების" დღის წესრიგის შესაბამისად.

<u>"საერთო კრება" უფლებამოსილია:</u>

1) შეცვალოს "ბანკის" წესდება;
2) მიიღოს გადაწყვეტილებები "ბანკის" რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
3) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით);
4) მიიღოს ან უარი თქვას "სამეთვალყურეო საბჭო"-ს ან "დირექტორატი"-ს წინადადებაზე, წმინდა მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ აღნიშნული ორგანოები ვერ იღებენ ერთიან წინადადებას წმინდა მოგების განაწილების შესახებ, მიიღოს გადაწყვეტილება "ბანკის" საერთო მოგების განაწილების შესახებ;
5) აირჩიოს წევრები "სამეთვალყურეო საბჭო"-ში ან გამოიწვიოს ისინი "სამეთვალყურეო საბჭო"-დან, განსაზღვროს „სამეთვალყურეო საბჭო"-ს წევრის არჩევის ვადა;
6) დაამტკიცოს "დირექტორატი"-სა და "სამეთვალყურეო საბჭო"-ს ანგარიში;
7) გადაწყვიტოს საკითხი "სამეთვალყურეო საბჭო"-ს წევრების შრომის ანაზღაურების შესახებ
8) აირჩიოს აუდიტორი;
9) მიიღოს გადაწყვეტილებები "სამეთვალყურეო საბჭო"-სა და "დირექტორატი"-ს წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნულ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
10) მიიღოს გადაწყვეტილებები "ბანკის" ქონების შესყიდვას, გასხვისებასა და სხვა სახით დატვირთვასთან (ან ამდაგვარ, ერთმანეთთან დაკავშირებულ გარიგებებთან) მიმართებით, რომელთა ღირებულება შეადგენს "ბანკის" აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენენ ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;
11) სხვა საკითხები, რომლებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება საქართველოს კანონმდებლობით ან წინამდებარე "წესდებით" შესაძლოა მიკუთნებულ იქნას "ბანკის" "აქციონერთა საერთო კრების" განსაკუთრებული კომპეტენციისადმი.

სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო" ორგანიზაციის სტრუქტურა

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს **სამეთვალყურეო საბჭო** არის "ბანკის" ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს "ბანკის" საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან:
თავმჯდომარე, დამოუკიდებელი წევრი - არმან დუნაევი
წევრი - ალია კარპიკოვა
დამოუკიდებელი წევრი - ჩინგიზ კანაპიანოვი
წევრი - ვიქტორ სკრილი
დამოუკიდებელი წევრი - ნათია სვანაძე

სამეთვალყურეო საბჭოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება:

1) ბანკის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, პოლიტიკის ჩამოყალიბება და აღმასრულებელი ორგანოს მიერ შესრულების კონტროლი;
2) წლიური ბიუჯეტისა და ბიზნეს–გეგმის დამტკიცება, ბანკის მიერ გრძელვადიანი ვალდებულებების აღება;
3) ბანკის შიდაპოლიტიკისა და ბანკის შიდასაქმიანობის მარეგულირებელი პროცედურების განსაზღვრა საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო მართვის პოლიტიკისა და პროცედურების ჩათვლით, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვების შექმნის, სამეურნეო საქმიანობის, საქართველოს კანონმდებლობით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხების ჩათვლით, გარდა იმ დოკუმენტებისა, რომლებსაც ბანკის დირექტორატი იღებს ბანკის საქმიანობის ორგანიზაციის მიზნით;
4) ბანკის დირექტორატის შემადგენლობის განსაზღვრა, ასევე, დირექტორატის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა (ნებისმიერ დროს გამოწვევა), შრომის ანაზღაურების პირობებისა და ოდენობის განსაზღვრა, მათთან ხელშეკრულებების დადება და მოშლა;
5) დირექტორატის უფლებამოსილების საზღვრების დადგენა;
6) ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი;
7) ბანკის აუდიტის კომიტეტის და ბანკის შიდააუდიტის სამსახურის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება, შიდააუდიტის სამსახურის თანამშრომლებისა და აუდიტის კომიტეტის წევრების შრომის ანაზღაურების პირობებისა და ოდენობის განსაზღვრა;
8) ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურის დამტკიცება;
9) ბანკის ფილიალების შექმნის, წარმომადგენლობის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების გახსნის, მათი საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
10) გარეაუდიტორის, შიდააუდიტის სამსახურის, აუდიტის კომიტეტისა და უფლებამოსილი ორგანოს შემოწმების შედეგების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება;

11) ბანკის სარეზერვო კაპიტალის გამოყენების წესის განსაზღვრა;
12) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურით, საწარმოთა წილის 50 პროცენტის შესყიდვა და გასხვისება;
13) გადაწყვეტილების მიღება ბანკთან განსაკუთრებული ურთიერთობის მქონე პირებთან გარიგებების დადების თაობაზე;
14) ბანკში რისკების მართვისა და შიდაკონტროლის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგი, მათ შორის, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტების დამტკიცების გზით;
15) ბანკის შიდაწესების შესაბამისად, იმ კორპორაციული კონფლიქტების გამოვლენა-მოგვარების სისტემის შექმნის უზრუნველყოფა, რომლებიც აქციონერებსა და ორგანოებს, ბანკის თანამდებობის პირებსა და აქციონერებს შორის შეიძლება წარმოიშვას;
16) ბანკის აქციონერებთან მუდმივი დიალოგის უზრუნველყოფა;
17) სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებისა და სხვა ორგანოების შექმნა, მათი წევრების არჩევა, წევრთა რაოდენობის, პერსონალური შემადგენლობისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა;
18) იმ საპროცენტო განაკვეთების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობების განსაზღვრა-დამტკიცება, რომელთაც ბანკი იყენებს შემდგომი საკრედიტო და სადეპოზიტო საქმიანობისთვის;

კორპორაციული მართვა - დირექტორატი და კომიტეტები

სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო"-ს **აუდიტის კომიტეტი** დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისაგან, რომელთა უმრავლესობა შეადგენს დამოუკიდებელ წევრებს. მისი ძირითადი ფუნქციაა ბანკის შიდა და გარეაუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობა.

კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების სრულყოფი და უტყუარ მომზადებაში, შიდაკონტროლისა და რისკების მართვის სისტემების ეფექტიანობასა და ადეკვატურობაში და კოორდინირებას უწევს შიდააუდიტის მუშაობას (მონაწილეობა ბანკის შიდააუდიტის დასკვნების განხილვაში).

თავმჯდომარე - ნათია სვანაძე (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)
წევრი - არმან დუნაევი (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)
წევრი - ალია კარპიკოვა (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი)
2024 წლის განმავლობაში ჩატარებულია კომიტეტის 6 სხდომა.

გარე აუდიტორის ანაზღაურება:

ბანკის გარე აუდიტორის და სხვა აუდიტორული ფირმების ანაზღაურებას, რომლებიც მოიცავს პროფესიული მომსახურების საფასურს, 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის შემდეგია:

გარე აუდიტორული ფირმების ანაზღაურება	**2024**	**2023**
ბანკის გარე აუდიტორისთვის გადახდილი ხარჯები	264,013	236,876
სხვა აუდიტორული ფირმებისთვის გადახდილი ხარჯები	126,623	210,018
სულ	**390,636**	**446,894**

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია **რისკების კომიტეტი,** რომელიც განიხილავს რისკის სტრატეგიებს, როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში. შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს, ამზადებს და ამავე საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ; განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს; მონიტორინგს უწევს დირექტორატის მიერ პროცედურების სათანადო დაცვასა და რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობას. რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტიანობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე; მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე, ყველა სახის რისკს, როგორებიცაა - საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა.

კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისაგან, რომელთა უმრავლესობა შეადგენს დამოუკიდებელ წევრებს.
თავმჯდომარე - ჩინგიზ კანაპიანოვი (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)
წევრი - ვიქტორ სკრილი (სამეთვალყურეო საბჭოს წევრი)
წევრი - ნათია სვანაძე (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)
2024 წლის განმავლობაში ჩატარებულია კომიტეტის 6 სხდომა.

დირექტორატი არის "ბანკის" კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს და წარმოადგენს "ბანკს".
დირექტორატის თავმჯდომარე - ნიკოლოზ გეგუჩაძე, გენერალური დირექტორი;
დირექტორატის წევრი - კონსტანტინე გორდეზიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე;
დირექტორატის წევრი - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე;
დირექტორატის წევრი - მარინა ტანკაროვა, გენერალური დირექტორის მოადგილე;
დირექტორატის წევრი - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე.

"**დირექტორატი**" უზრუნველყოფს "ბანკის" "აქციონერთა საერთო კრების", "სამეთვალყურეო საბჭოს" გადაწყვეტილებების აღსრულებას და უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები ყველა საკითხზე, "ბანკის" "აქციონერთა საერთო კრებისა" და "სამეთვალყურეო საბჭოს" განსაკუთრებული კომპეტენციისადმი მიკუთვნებული საკითხების გარდა. დამოუკიდებელ წევრთა განსაზღვრის მიზნით, ბანკი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის კორპორატიული მართვის კოდექსის მოთხოვნებით. 2024 წლის განმავლობაში ჩატარებულია 211 სხდომა.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სრულად აკმაყოფილებს ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს - კვალიფიკაციას, პროფესიულ გამოცდილებას, კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებას.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება ეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ბიზნეს-მენეჯმენტის მიმართულებით.
ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება. მათი გამოცდილებისა და უნარების ერთობლიობა შეესაბამება ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობას. მათი კომპეტენციის სფეროებია: ფინანსური ანალიზი, ფინანსური სტაბილურობის

პრობლემები, ფინანსური ანგარიშგება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სტრატეგიული დაგეგმარება, რისკების მართვა, კორპორაციული მართვა და ა.შ.
სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური ეკონომიკური ზეგავლენის აღქმის უნარი, ხოლო წევრთა განათლება-გამოცდილება გონივრულადაა გადანაწილებული, რაც უზრუნველჰყოფს დომინანტი პირის რისკის შემცირებას.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს:

- გრძელვადიან (სამწლიან) სტრატეგიულ ბიზნეს-გეგმებს და ყოველწლიურად აწარმოებს ბანკის დირექტორატის მიერ მათი შესრულების კონტროლს.
- მოკლევადიან (ყოველწლიურ) ბიუჯეტს და საჭიროებისამებრ ახორციელებს მის კორექტირებას.

ბიუჯეტის კორექტირდება წლის პირველი ნახევრის შედეგების საფუძველზე ან/და გარეპირობების მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და „ჯგუფის“ სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

„ბანკს“ გააჩნია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების მასშტაბებისა და კომპლექსურობასთან შესაფერისი კონტროლისა და მონიტორინგის სისტემა. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად განიხილავს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების ანგარიშგებასა და წარუდგენს მას ეროვნულ ბანკს.

- სამეთვალყურეო საბჭოს კრებები ტარდება სულ მცირე, თვეში ერთხელ.
- აუდიტის კომიტეტის სხდომები ტარდება გეგმიური აუდიტორული შემოწმების ანგარიშის დასრულების მიხედვით, წელიწადში არანაკლებ ორჯერ.
- სამეთვალყურეო საბჭოს კრებას ესწრება წევრთა უმრავლესობა. 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა 17 დაუსწრებელი და 1 დასწრებული საბჭოს სხდომა.
- საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხები მოიცავს როგორც ბანკის ყოველდღიური საქმიანობის განხილვას, მსხვილი ტრანზაქციების დამტკიცებასა და რისკიანი ტრანზაქციების განხილვას, ასევე რისკის აპეტიტის, რისკის პროფილისა და სტრატეგიის შემუშავებას, სხვადასხვა პოლიტიკის დამტკიცებას და ა. შ.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეფასებას აწარმოებს აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭო აწარმოებს როგორც ფორმალურ, ისე მკაცრ თვითშეფასებას, მათ შორის, მის დაქვემდებარებაში მყოფი კომიტეტებისა და კოლეგიალური ორგანოების ინდივიდუალურ შეფასებას.
კორპორატიული მართვის კოდექსის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აანალიზებს საბჭოს საქმიანობის შედეგებს, მისი მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭო აფასებს დირექტორატის მუშაობას, დამტკიცებული ე.წ. KPI-ს მონიტორინგის მიხედვით.

სამეთვალყურეო საბჭო საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული უფლებების გარდა, სრული დელეგირება მისცა დირექტორატს და საკრედიტო კომიტეტებს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის იმ საკრედიტო განაცხადების განხილვისა და დამტკიცების შესახებ, რომელთა პირობებიც არ შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნორმებს.

სამეთვალყურეო საბჭო დირექტორატს ანიჭებს უფლებამოსილებებს ინდივიდუალურად განიხილოს ბიზნეს-დაკრედიტების ყველა მიმართულებით (საცალო, მცირე, საშუალო და კორპორატიული) შემოსული საკრედიტო განაცხადები და დამოუკიდებლად შეამციროს საბაზისო განაკვეთები 2%-მდე.

ასევე, სამეთვალყურეო საბჭომ, დირექტორატს მისცა დელეგირების უფლება, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საცალო დაკრედიტების პროცედურებში, რომლებიც შეეხება როგორც უზრუნველყოფილი/არაუზრუნველყოფილი სესხების, ისე საკრედიტო ბარათებისა და ოვერდრაფტების გაცემას.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეფასება

2024 წელს სამეთვალყურეო საბჭომ ჩაატარა სამეთვალყურეო საბჭოს, კომიტეტების და თავისი ინდივიდუალური წევრების საქმიანობის შეფასება 2024 წლის მდგომარეობით საკუთარი ძალებით. შეფასება ჩატარდა დეტალური კითხვარის შევსების ფორმით, რომელიც მოიცავდა შეფასების რამდენიმე მიმართულებას:

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის დაგეგმვა, ორგანიზება და წარმართვა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ფუნქციონალური სფერო;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თვითშეფასება;

შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ თავისი შინაარსით, შეფასება მიმართულია სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების და ინდივიდუალური წევრების საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის და ერთხმად აღაირა როგორც ამ მიზნის მისაღწევი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

შეფასების შედეგად გამოვლინდა:

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა (მისი წევრების ცოდნისა და გამოცდილების თვალსაზრისით) არის ოპტიმალური და ბალანსირებული, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, მათ შორის ESG მიმართულებას, ბანკის განვითარების სტრატეგიის რეალიზების კონტროლი. საბჭოს მუშაობის სტილი და ფსიქოლოგიური გარემო ხელს უწყობს თითოეული წევრის ეფექტურ და კონსტრუქციულ მუშაობას.

სამეთვალყურეო საბჭოზე წარმოდგენილი წევრების უნარ-ჩვევები და გამოცდილება სრულიად უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობის მაღალეფექტურობას. მას გააჩნია კომპეტენციები ბიზნეს-მოღვაწეობის, კორპორაციული მართვის, სტრატეგიული მართვის, ფინანსების, ფინანსური აღრიცხვის, შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სფეროში.

საბჭოს თავმჯდომარეს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება, როგორც კომერციულ, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, მათ შორის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებში ვიცე-მინისტრის პოზიციებზე. ასევე მნიშვნელოვანია ბანკისთვის სხვადასხვა წლებში მისი მუშაობის გამოცდილება ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის და ორგანიზაციების ზედამხედველობის სააგენტოს თავმჯდომარის და ფონდ „სამრუკ-კაზინა“-ს გამგეობის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის პოზიციებზე. ბოლო წლებში იგი იკავებს „ხალიკ ჯგუფში“ შემავალი შვილობილი ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის და თავმჯდომარის პოზიციებს.
საბჭოს დანარჩენი წევრები ასევე არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მათი განათლება და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილება მოიცავს ბანკის ფუნქციონირების ყველა სფეროს და

მიმართულებას, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების განვითრების მიმართულებასაც - ე.წ. დიჯიტალიზაციის სფეროს განვითრებას, ციფრული სერვისების დანერგვის კუთხით.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს ბანკის აქციონერის ინტერესების შესაბამისად ბანკის წარმატებულ საქმიანობას.
სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სისტემა უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის სათანადო მხარდაჭერას პროფილურ მიმართულებებში - აუდიტი, რისკ-მენეჯმენტი და ა.შ.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სხდომების ჩატარების გარდა, ყოველთვის არიან ღია მათი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერი საკითხის განხილვისათვის. მათთვის კარგად არის ნაცნობი ბანკის მიზნები, სისუსტეები, საჭიროებები და შეზღუდვები. ასევე კარგად არიან გათვითცნობიერებულნი მთლიანად „ხალიკ ჯგუფის“ სტრუქტურაზე, ფლობენ ინფორმაციას მნიშვნელოვან რისკებზე და პრობლემებზე, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ჯგუფზე და შვილობილ ორგანიზაციებზე.
სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქვთ საშუალება, საჭიროებისამებრ, მიიღონ დამოუკიდებელი კონსულტანტების მომსახურება კომპლექსური და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შემთხვევებში.

შეფასების შედეგად კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა:

ბანკის წესდების, პოლიტიკების და პროცედურების შესაბამისობას;
კმაყოფილებას ინფორმაციის მიღების და გაზიარების კუთხით, რომელიც საჭირო იყო ამ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობის დასაწყებად;
სხდომების რაოდენობა, შეხვედრების ხანგრძლივობა, დღის წესრიგი და განხილული მასალები სრულიად შეესაბამება სტანდარტებს და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რათა მიღწეულ იქნას ბანკის სტრატეგიის განხორციელება;
გენერალური დირექტორი და დირექტორატის წევრები ყოველთვის ხელმისაწვდომნი არიან სხდომებს შორის და უზრუნველყოფენ მოთხოვნისამებრ დამატებითი ინფორმაციის დროულ და სათანადო მიწოდებას;

ბანკში ეფექტურად არის დაორგანიზებული დავალებების შესრულების სათანადო კონტროლი და წევრები იღებენ საჭირო ინფორმაციას (ოქმებისა თუ ანგარიშების სახით) მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭო ეფექტურად ასრულებს მენეჯმენტის კონტროლის ფუნქციას, განუსაზღვრავს და ამტკიცებს მათ KPI მაჩვენებლებს. მისი წევრები გამოირჩევიან ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირების ეფექტური უნარებით, ეხმარებიან მოიძიონ კონფლიქტების გადაჭრის და მოგვარების ნაყოფიერი გზები.

სამეთვალყურეო საბჭო მიზნად ისახავს:

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების გრძელვადიან სტრატეგიულ განვითარების გეგმაში ასახვას.
- სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეფასების ორგანიზებას დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიის მიერ.

შეფასების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯგუფმა, კორპორაციულ მართვაზე მუდმივი მუშაობის შედეგად, მიაღწია სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ლოიალურობის მაღალ დონეს. იგი აღნიშნავს რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული მართვა არის თავისუფალ კონკურენტულ ბაზარზე აუცილებელი პირობა ბანკის წარმატებული საქმიანობისათვის.

თავის მხრივ, ბანკის დედა კომპანია სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთი“, 2006 წლიდან შეყვანილია ლონდონის საფონდო ბირჟის ოფიციალურ სიაში და თავის მხრივ ხელმძღვანელობს ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის გარდა, დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებით.

ბანკში არსებული კომიტეტები

<u>საკრედიტო კომიტეტები:</u>

დიდი საკრედიტო კომიტეტი
კომიტეტის თავმჯდომარე - ნიკოლოზ გეგუჩაძე, გენერალური დირექტორი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - კონსტანტინე გორდეზიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - მარინა ტანკაროვა, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - იურიდიული სამმართველოს უფროსი

მცირე საკრედიტო კომიტეტი
კომიტეტის თავმჯდომარე - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - ბიზნეს დაკრედიტების საკრედიტო რისკების სამმართველოს უფროსი
კომიტეტის წევრი - მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების სამმართველოს უფროსი
კომიტეტის წევრი - იურიდიული სამმართველოს უფროსი

საცალო საკრედიტო კომიტეტი

- **I დონის დელეგირება**
- კომიტეტის წევრი - საცალო ბიზნესის საკრედიტო რისკების სამმართველოს მენეჯერი

- **II დონის დელეგირება**
- კომიტეტის წევრი - საცალო ბიზნესის საკრედიტო რისკების სამმართველოს უფროსი
- კომიტეტის წევრი - საცალო ბიზნესის საკრედიტო რისკების სამმართველოს მთავარი მენეჯერი

- **III დონის დელეგირება**

კომიტეტის წევრი - კონსტანტინე გორდეზიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
<u>სხვა კომიტეტები</u>

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი
კომიტეტის თავმჯდომარე - ნიკოლოზ გეგუჩაძე, გენერალური დირექტორი

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - კონსტანტინე გორდეზიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - მარინა ტანკაროვა, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - ხაზინის უფროსი
კომიტეტის წევრი - სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის“ ხაზინის უფროსი
კომიტეტის წევრი - ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველოს უფროსი

რისკების მართვის კომიტეტი

კომიტეტის თავჯდომარე - ჩინგიზ კანაპიანოვი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
კომიტეტის წევრი - ვიქტორ სკრილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
კომიტეტის წევრი - ნათია სვანაძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

სატარიფო კომიტეტი
კომიტეტის თავმჯდომარე - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - მარინა ტანკაროვა, გენერალური დირექტორის მოადგილე
კომიტეტის წევრი - ანგარიშგებისა და საკორესპონდენტო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი
კომიტეტის წევრი - მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი

ინფორმაციული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - ნიკოლოზ გეგუჩაძე, გენერალური დირექტორი
სამუშაო ჯგუფის წევრი - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
სამუშაო ჯგუფის წევრი - უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი
სამუშაო ჯგუფის წევრი - საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი
სამუშაო ჯგუფის წევრი - საოპერაციო რისკების სამმართველოს უფროსი
სამუშაო ჯგუფის წევრი - საოპერაციო რისკების სამმართველოს IT და IS რისკების უფროსი მენეჯერი
სამუშაო ჯგუფის წევრი-უსაფრთხოების სამმართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი მენეჯერი
სამუშაო ჯგუფის წევრი - საბანკო პროდუქტების განვითარების სამმართველოს უფროსი
სამუშაო ჯგუფის წევრი - პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
სამუშაო ჯგუფის წევრი - პერსონალის სამმართველოს უფროსი

სამეთვალყურეო საბჭოს შემუშავებული აქვს დირექტორატის წევრთა შერჩევის პოლიტიკა. საბჭო, პირველ ეტაპზე, განიხილავს ბანკის შიდა რესურსს და დანიშვნამდე განსაზღვრავს, აკმაყოფილებს თუ არა დასანიშნი პირი საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით დადგენილ ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს.

თანამდებობაზე დანიშვნამდე, პირის შესაფერისობის განსაზღვრის მიზნით, საბჭო აგროვებს დებულებით დადგენილ დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობისა და სიზუსტის დეტალურ შემოწმებას.

დირექტორატის წარმომადგენლები და მათი საკურატორო სფეროები:
თავმჯდომარე - ნიკოლოზ გეგუჩაძე, გენერალური დირექტორი
იურიდიული სამმართველო, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო, დაგირავებულ ქონებასთან მუშაობის სამმართველო, უსაფრთხოების სამმართველო, სპეციალიზებული დეპოზიტარის სამმართველო, ფინანსური მონიტორინგისა და შესაბამისობის სამმართველო, პერსონალის სამმართველო.

დირექტორატის წევრი - კონსტანტინე გორდეზიანი, გენერალური დირექტორის მოადგილე
ბიზნეს დაკრედტირების საკრედიტო რისკების სამმართველო, საცალო ბიზნეისის საკრედიტო რისკების სამმართველო, ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო, საოპერაციო რისკების სამმართველო.

დირექტორატის წევრი - შოთა ჭყოიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე
საცალო გაყიდვების სამმართველო, საბანკო პროდუქტების განვითარების სამმართველო, პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სამმართველო, საბანკო ბარათების სამმართველო, კონტაქტ-ცენტრი.

დირექტორატის წევრი - მარინა ტანკაროვა, გენერალური დირექტორის მოადგილე
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო, ფინანსური სამმართველო, ანგარიშსწორებისა და საკორესპონდენტო ურთიერთობების სამმართველო, სამეურნეო სამმართველო, კანცელარია, საკრედიტო ადმინისტრირების სამმართველო, ცენტრალიზებული ბექ-ოფისის სამმართველო.

დირექტორატის წევრი - თამარ გოდერძიშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე
კორპორატიული გაყიდვების სამმართველო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების სამმართველო, საკრედიტო ანალიზის სამმართველო, ხაზინა.

რისკების მართვა

ბანკში მოქმედებს რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც ადგენს ბანკის საქმიანობისას წარმოქმნილი რისკების ძირითად ცნებებსა და სახეობებს, აგრეთვე, ბანკში რისკების მართვის ძირითად პრინციპებს, მეთოდებსა და საშუალებებს, განსაზღვრავს მათ რეალიზაციაზე პასუხსმგებელ ორგანოებსა და დანაყოფებს. პოლიტიკა მიზნად ისახავს:

- რისკების მართვისადმი ბანკის საერთო მიდგომის ფორმულირება-აღწერას და ბანკის სამსახურებს შორის მოვალეობათა გადანაწილებას;
- ბანკის მაქსიმალური შემოსავლიანობის მიღწევას რისკების მართვადი დონის მიღებისას;
- რისკების მართვის ინტეგრირებული სისტემის აწყობას.

რისკების მართვის პროცესი შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისგან: 1) რისკების იდენტიფიკაცია; 2) რისკების გაზომვა ანუ შეფასება; 3) რისკების კონტროლი და მონიტორინგი; 4) მაკორექტირებელი ზომების მიღება.

რისკების იდენტიფიკაცია: რისკის წყაროების გამოვლენა ხდება რისკების მართვის სამსახურისა და ბიზნესოპერაციების ინიციატორი დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვეგანყოფილებების დონეზე. ბანკის არსებული ბიზნესპროცესები და მითთვის დამახასიათებელი რისკები აღწერილია და რეგულირდება შესაბამისი შიდარეგლამენტებით, რომლებიც განსაზღვრავს რისკებსა და მათი მართვის წესს. ბანკში ახალი ბიზნესპროცესის დანერგვის შემთხვევაში, შესაბამისი ინიციატივები გაივლის რისკების შეფასებისა და ანალიზის პროცედურას, რისკ-მენეჯმენტის სამსახურთან ერთად.

რისკების გაზომვა ანუ შეფასება: რისკების შეფასების ძირითადი ამოცანაა კაპიტალის მოცულობის საკმარისობის დადგენა ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპის რისკებით მიყენებული პოტენციური დანაკარგების დასაფარად, რისკების შედარება შესაძლო შემოსავლიანობასთან, ბანკის ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდება პოტენციური დანაკარგების შესახებ, შეძლებისდაგვარად დასაბუთებული ბიზნეს-გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბანკის მიერ გამოყენებულია რისკის გაზომვის შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები:

– საკრედიტო რისკი – რეზერვების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, დეფოლტების, აგრეთვე, 30 და 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებებისა და რესტრუქტურიზაციის სტატისტიკა, აქტივების შეწონვა საკრედიტო რისკის ხარისხის მიხედვით, მსესხებელთა შიდარეიტინგის განსაზღვრა (საჭიროების შემთხვევაში), ანალიტიკოსთა საექსპერტო დასკვნები, სექტორული ლიმიტები, სტრეს-ტესტები და სხვა.

- საბაზრო რისკი - სავალუტო რისკზე ES (Expected Shortfall) და stop-loss ლიმიტები, პროცენტული GAP ანალიზი და საპროცენტო რისკის ლიმიტები, გაცვლითი კურსის ვოლატილობა, ადრეული აღმოჩენის ინდიკატორები, სიმულაცია, აქტივების შეწონვა საბაზრო რისკის ხარისხის მიხედვით, სტრეს-ტესტი და სხვა.
- საოპერაციო რისკი – მისი რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი დანაკარგების სტატისტიკა, შიდაპროცესების/პროდუქტების შეთანხმების პროცესში მონაწილე სამმართველოების საექსპერტო დასკვნები და სხვა.
- ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის GAP ანალიზი და მისი ლიმიტები, ლიკვიდობის კოეფიციენტები, ადრეული აღმოჩენის ინდიკატორები, სტრეს-ტესტი და სხვა.
- სამართლებრივი რისკი, უზრუნველყოფის რისკი, რეპუტაციული რისკი, შესაბამისობის რისკი - ბანკის ქვეგანყოფილებების/ ორგანოების საექსპერტო დასკვნები.

რისკების კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი გზით:

- სხვადასხვა სახის ლიმიტების, ინდიკატორებისა და პრუდენციული ნორმატივების მონიტორინგი
- ოპერაციების რეგლამენტირება, ოპერაციებისა და ბიზნეს-ოპერაციების ჩატარების პროცედურების დამუშავება, რისკების რეგულარული კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- რისკების დოკუმენტირება
- რეგულარული ანგარიშგება

მაკორექტირებელი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღება რისკების ანალიზის საფუძველზე:

- დაზღვევა, ჰეჯირება (შესაძლო დანაკარგების თავიდან აცილების მეთოდი გამაწონასწორებელი გარიგების დადების გზით).
- რეზერვირება (რეზერვების საკმარისი დონის ფორმირება დანაკარგების დასაფარად).

- რისკების დაფარვა (რისკების გადანაწილება გარიგების მონაწილეთა შორის გარანტიის, გირაოს, ორმხრივი საჯარიმო სანქციების სისტემის წარმოდგენის გზით).
- დივერსიფიკაცია (ფინანსური სახსრების ერთზე მეტი სახის აქტივში განთავსება, რომელთა ფასები ან შემოსავლიანობა სუსტადაა ურთიერთშორის კორელირებული).
- რისკების ლიმიტირება (რისკის ბანკისათვის მისაღები მაქსიმალური, ზღვრული ნიშნულის დადგენა).

ბანკში რისკების ინტეგრირებული მართვის პროცესი მოიცავს – ლიმიტების შესრულებაზე კონტროლის დამყარებასა და მონიტორინგს; პოტენციური რისკების რაოდენობრივ გაზომვას; კაპიტალის ოდენობის განსაზღვრას, რომელიც დაფარავს ბანკის პოტენციური რისკების ყველა სახეობას. პოტენციური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა საშუალებას იძლევა, ყოველ გარიგებაში არჩეულ იქნას მაქსიმალურად ეფექტური შესაბამისობა შემოსავლიანობასა და რისკს შორის, სხვადასხვა სეგმენტების პორტფელების დონეზე, მთელი პორტფელის მასშტაბით.

რისკ-მენეჯმენტის სამსახურები ახორციელებენ ლიმიტების გაანგარიშგებას, რასაც ამტკიცებს ბანკის კოლეგიური ორგანოები (აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტები, დირექტორატი და სხვა.) უფლებამოსილების ფარგლებში.

რისკების მართვის ორგანიზაცია მოიცავს დამოუკიდებელი სამსახურებისა და კოლეგიური ორგანოების ფუნქციებს რისკების შეფასებაში, კონტროლსა და მონიტორინგში, ასევე, მათ შორის უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა გადანაწილებას.

რისკების მართვის კუთხით, სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს რისკების მართვის კომიტეტი, რომლის ფუნქციებში შედის: რისკების მართვის პოლიტიკების განხილვა, ასევე, რისკების აპეტიტებზე ანგარიშების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების შემუშავება ბანკის რისკების კულტურაზე და იდენტიფიცირებული რისკებისათვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე. აგრეთვე, ის ახორციელებს დირექტორატის საქმიანობის მონიტორინგს რისკების პოლიტიკებთან/პროცედურებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. რისკების კომიტეტი მონიტორინგს უწევს ყველა სახის რისკს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რისკის აპეტიტთან შესაბამისობა;

ბანკში მოქმედებს რისკების მართვისა და კონტროლის **სამი** დონე:

პირველი დონე: მოიცავს შესაბამის ბიზნესდანაყოფებს, რომლებიც ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს, პასუხს აგებენ რისკების მართვის პოლიტიკის, ასევე, რისკების მართვის პროცესის მარეგლამენტირებელი შესაბამისი შიდა დოკუმენტების დებულებათა ცოდნასა და გამოყენებაზე, რისკების კონტროლსა და მართვაზე, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

ყველა სახის საბანკო რისკების მართვის პოლიტიკის რეალიზაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი, რომელიც ბიზნესდანაყოფებთან კოოპერაციითა და ბანკის შესაბამისი კომიტეტების საშუალებით ახდენს რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების განსაზღვრასა და მათ შესრულებაზე კონტროლს.

რისკების მართვის ყველა პოლიტიკა მოწონებულ უნდა იქნას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც, თავის მხრივ, ამოწმებს მათ შესაბამისობას ორგანიზაციის მიზნებსა და სტრატეგიებთან.

მეორე დონე: რისკ-მენეჯმენტის სამმართველოები, რომლებიც წარმოადგენს რისკების მართვის სისტემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ დამოუკიდებელ სამსახურებს და უზრუნველყოფს ბანკში ყველა იმ სახის რისკების იდენტიფიკაციას, შეფასებასა და კონტროლს, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ბანკისა და საბანკო ჯგუფის მონაწილეთა წინაშე.

აგრეთვე, ბანკში შექმნილია კომიტეტები, რომელთაც გადაეცემათ სხვადასხვა სახის რისკებზე კონტროლისა და რისკების მართვის პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების უფლება. მათ შორის საკრედიტო კომიტეტები; აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი (აპმკ); აუდიტის კომიტეტი, რისკების მართვის კომიტეტი, ინფორმაციული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი, სატარიფო კომიტეტი.

უკანონო შემოსავლებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით, ბანკში შექმნილია ფინანსური მონიტორინგისა და შესაბამისობის სამსახური, რომელიც დამოუკიდებელია და ექვემდებარება გენერალურ დირექტორს.

კომიტეტები მოქმედებენ შესაბამისი დებულებების საფუძველზე და ანგარიშვალდებულნი არიან ბანკის დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე ბანკის შიდადოკუმენტების შესაბამისად.

მესამე დონე: შიდააუდიტის დეპარტამენტი – დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომლის მიზანია ბანკის ოპერაციული საქმიანობის შემოწმება და დამოუკიდებელი აზრის, რეკომენდაციების გამოხატვა ბანკის დირექტორატის წინაშე, რისკების კონტროლის ზომების ადექვატურობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით.

რისკების მართვის სამმართველოები და შიდააუდიტის დეპარტამენტი მოქმედებენ შესაბამისი დებულებების საფუძველზე. რისკების მართვის სამმართველოები ექვემდებარებიან ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეს რისკების სფეროში, ხოლო შიდა აუდიტის სამსახური – ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

კერძოდ, ცალკეული რისკების მართვა ბანკში ხორციელდება შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი:

საკრედიტო რისკად მოიაზრება ბანკის დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო საქმიანობის შედეგად, მსესხებლის უუნარობის გამო სასესხო ვალდებულებების დროულად ვერ გასწორებას.

ბანკისათვის საკრედიტო რისკის მართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს საკრედიტო საქმიანობიდან წარმოშობილი დანაკარგების მინიმალური დონის შენარჩუნება (მათ შორის ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში), რისთვისაც ბანკი:

- საკრედიტო ურთიერთობებს კონტრაგენტთან აინიცირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საკმარისად დარწმუნებულია საკრედიტო სახსრების შეთანხმებულ დროში დაბრუნების შესაძლებლობაში. ასევე, მხედველობაში იღებს წარმოდგენილ უზრუნველყოფას;
- ახორციელებს საკრედიტო პორტფელის პერიოდულ მონიტორინგს, ხარისხის გაუარესების ადრეულ სტადიაზე იდენტიფიცირებისა და საკრედიტო სახსრების დაბრუნების მაქსიმალიზების მიზნით;
- არ დაუშვას მსესხებელთა როგორც დარგების დონეზე, ასევე გეოგრაფიულ ჭრილში რისკის ზედმეტი კონცენტრაცია.

საკრედიტო რისკის ეფექტიანი მართვისთვის ბანკში გატარებულია მთელი რიგი ზომები, როგორც ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ისე ბიზნეს-პროცესების სწორად მართვის კუთხით, რაც, თავის მხრივ, გაწერილია რისკების მართვის პოლიტიკასა და საკრედიტო სამსახურების დებულებებში. ბანკში არსებული ყველა საკრედიტო პროდუქტის პირობები ზემოაღნიშნულ ნორმებს შეესაბამება.

ბანკში ფუნქციონირებს საკრედიტო რისკების სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დროულ იდენტიფიცირებაზე და მათ მიტიგაციაზე. ასევე, სამმართველოს ფუნქციებში შედის ბანკში რისკების პოლიტიკის განსაზღვრა და ყველა პროცესის მასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ასევე ბანკის მიერ პრუდენციული კოეფიციენტების დაცვის კონტროლი.

დაკრედიტების მხარე დანაწილებულია კორპორატიულ, მცირე/საშუალო და საცალო სამმართველოებად. დანაწევრების კრიტერიუმი არის საკრედიტო ლიმიტის მოცულობა, კლიენტის სიდიდე და შემოსავლის წყარო.

საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება დირექტორთა საბჭოს მიერ დელეგირებულია საკრედიტო კომიტეტებზე განსაზღვრული ნორმატივების ფარგლებში, რომლითაც დადგენილია დაკრედიტების ძირითადი პირობები. საკრედიტო განაცხადები, რომლებიც სცილდება აღნიშნულ ნორმატივებს, განიხილება როგორც „ზენორმატიული განაცხადები“ და მტკიცდება ზემდგომი უფლებამოსილი ორგანოს მიერ (დირექტორთა საბჭო ან/და სამეთვალყურეო საბჭო).

ბანკში ბიზნეს-სესხებზე ფუნქციონირებს სარეიტინგო სისტემაც, რომელიც კონტრაგენტის დეფოლტის ალბათობით რანჟირებას უზრუნველყოფს. საკრედიტო პორტფელის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო, რომელიც ყოველთვიურად წარადგენს საკრედიტო პორტფელის ანალიზის შედეგებს აპმკ-ზე. ანალიზი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საკრედიტო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების, ვადების, სეგმენტების მიხედვით;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ანალიზი, 20 უმსხვილესი მსესხებელთა ჯგუფის ჭრილში;
- საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივი ანალიზი სეგმენტებად, ვადაგადაცილების დღეების, რეზერვების მოცულობის, პროდუქტების მიხედვით;
- ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების დეტალური ანალიზი;
- რესტრუქტურიზებული პორტფელის დეტალური ანალიზი;
- ბიზნესის დაფინანსების მიზნობრიობის მიხედვით დარგობრივ სექტორებზე დაწესებული ლიმიტების ათვისების/დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ფინანსური რისკების და პორტფელური ანალიზის სამმართველო წარადგენს აპმკ-ზე ყოველთვიურად ანგარიშს, აგრეთვე ყოველკვარტალურად დირექტორატსა და რისკების კომიტეტზე კვარტლის შედეგებს, საკრედიტო პორტფელის კომპოზიციისა და ხარისხის შესახებ, სეგმენტების მიხედვით, მათ შორის, ბაზართან მიმართებაში. დირექტორატის ინფორმირება ხდება განხორციელებული ნორმატიული ცვლილებებისა და მათი გავლენების, ასევე, ბანკში დანერგილი სიახლეებისა და კონკრეტული რისკების მართვის შესახებ.

ფინანსური ინსტიტუტებისა და ქვეყნის საკრედიტო რისკი:

ბანკი ოპერაციებს ახორციელებს იმ ფინანსურ ინსტიტუტებთან, რომლებთანაც არსებობს აპმკ-ს მიერ დამტკიცებული კონკრეტული ოპერაციების (დეპოზიტები-ნოსტროები, კომერციული, გარესაბალანსო, კონვერტაციის) შესაბამისი ლიმიტი. ლიმიტები ეფუძნება საოპერაციო სამმართველოს ან ხაზინის განყოფილების საჭიროებას/მოთხოვნას, ასევე, ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველოების მიერ ჩატარებულ კონტრაგენტის დეტალურ ანალიზსა და დადებით შეფასებას, რომელსაც თან ერთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთაზე პასუხისმგებელი განყოფილების დადებითი შეფასებაც. იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში ოპერირებს კონტრაგენტი, ხდება ქვეყნის შეფასება და მასზე ლიმიტების დამტკიცება. ფინანსური ინსტიტუტებისა და ქვეყნის ლიმიტების ყოველდღიური კონტროლი ხორციელდება საოპერაციო სამმართველოს მიერ, ხოლო დამატებით მონიტორინგს უწევს ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო და შედეგებს, ყოველთვიურად, წარუდგენს აპმკ-ს.

ლიკვიდობის რისკი:

ლიკვიდობის ეფექტური კონტროლის მიზნებისთვის ბანკი ლიკვიდობის მართვას ჰყოფს შემდეგ ნაწილებად: მიმდინარე/მოკლევადიანი და საშუალოვადიანი/გრძელვადიანი.

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით ბანკი:

- უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოს საშუალებით ადგენს რისკის მისაღებ დონეს - ადგენს ლიმიტებს, აგრეთვე ლიკვიდობის კოეფიციენტებისა და ადრეული აღმოჩენის ინდიკატორების მაქსიმალურ ზღვრებს;
- პერიოდულად ატარებს დადგენილი ლიმიტებისა და ინდიკატორების მონიტორინგს;
- რისკის დონის მომეტებულად გაზრდის შემთხვევაში, იღებს დროულ გადაწყვეტილებებს მის კორექციასთან დაკავშირებით.

ლიკვიდობის რისკის შეფასების, ლიმიტირების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის მოდელების უფრო დეტალური აღწერა დადგენილია ლიკვიდობის რისკის გაზომვისა და კონტროლისადმი მიძღვნილ პოლიტიკებსა და მეთოდიკებში. კერძოდ, ბანკს გააჩნია ლიკვიდობის რისკის მართვისა და ლიკვიდობის GAP-ის ანგარიშგების მომზადების მეთოდოლოგია, აგრეთვე დაწესებული აქვს შიდა ლიმიტები და ინდიკატორები ლიკვიდობის რისკის ამსახველ სხვადასხვა მაჩვენებლებზე, ასევე ატარებს სტრეს ტესტებს, რომელთა საფუძველზე, ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო აანალიზებს ლიკვიდობის რისკს და მონიტორინგს უწევს დაწესებული ლიმიტების დაცვას, ხოლო შედეგებს წარუდგენს აპმკ-ს. აგრეთვე უწყვეტლივ ხორციელდება სებ-ის მიერ დაწესებული ლიკვიდობის მოთხოვნებისა და ინდიკატორების კონტროლი და ანალიზი.

რისკების კონტროლის გარდა, ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო დამოუკიდებელ რეკომენდაციებს უწევს აპმკ-ს მიმდინარე/მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებით, ზომების მიღების, მინიმალური "ლიკვიდობის ბუფერის" გაზრდა/შემცირების შესახებ ხაზინის მიერ წინადადებების გამოტანის შემთხვევაში, ასევე, ისეთ სიტუაციებში, როდესაც პრუდენციული ნორმატივების ან ლიკვიდობის შიდაკოეფიციენტების მნიშვნელობა აღწევს ზღვრულ ნიშნულს;

მიმდინარე/ მოკლევადიანი ლიკვიდობის მინიმალურ მნიშვნელობებთან დაკავშირებით, შეზღუდვების დაწესება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის კომპეტენციაა. ბანკის მიმდინარე/ მოკლევადიანი

ლიკვიდობის ოპერატიული მართვა დელეგირებულია ხაზინისათვის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

საშუალო/გრძელვადიანი ლიკვიდობის შეზღუდვა, ლიმიტირებისა და მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განეკუთვნება მხოლოდ აპმკ-ს კომპეტენციას. გარდა ამისა, რისკების მართვის განხრით, მას შემდეგი ფუნქციები აკისრია:

- ინიციატორი ქვეგანყოფილებების ლიკვიდობის რისკის ზომებსა და შეზღუდვებთან (ლიმიტები) დაკავშირებულ წინადადებათა და რისკების მართვის განყოფილების შესაბამისი რეკომენდაციებისშესწავლა და ანალიზი;
- ლიკვიდობის GAP-ის ლიმიტების დაწესება, ბანკისათვის ლიკვიდობის (დაკარგვის) რისკის მატარებელი ოპერაციების განხილვა და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;
- ლიკვიდობის რისკებთან დაკავშირებული რეგულარული ანგარიშგების განხილვა და ბანკის შესაბამის განყოფილებებზე კონტროლის განხორციელება, ლიკვიდობის რისკის დონის ადექვატურობის კუთხით; საზედამხედველო მოთხოვნების დაცვაზე კონტროლი, მაკორექტირებელი ზომების მიღება, საჭიროების შემთხვევაში.

საბაზრო რისკები:

ბანკში საბაზრო რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის (აპმკ) განსაკუთრებული კომპეტენციაა. კერძოდ, იგი პასუხისმგებელია შემდეგ ფუნქციებზე:

- ინიციატორი ქვეგანყოფილებების წინადადებათა და რისკების მართვის განყოფილების შესაბამისი რეკომენდაციების შესწავლა და ანალიზი საბაზრო რისკის მოწონებასთან დაკავშირებით;
- გადაწყვეტილებების მიღება საბაზრო რისკის შემცველი გარიგებების/ ოპერაციების მოწონება-არმოწონების შესახებ; საბაზრო რისკის შემცველი ოპერაციების, პოზიციების ლიმიტების მოწონება;
- რეგულარული ანგარიშების განხილვა საბაზრო რისკებთან დაკავშირებით, ბანკის შესაბამის ქვეგანყოფილებებზე კონტროლის განხორციელება, საბაზრო რისკის ადეკვატურობის განხრით და მაკორექტირებელი ზომების მიღება, საჭიროების შემთხვევაში.
- ბანკს გააჩნია საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ვალუტის კურსისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული მაქსიმალური დანაკარგის წინასწარდადგენილ საზღვრებში მოქცევას, რომელსაც ახორციელებს სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, ლიმიტების დაწესებით და სტრეს ტესტების გამოყენებით. ფინანსური რისკებისა და პორტფელური ანალიზის სამმართველო რეგულარულ მონიტორინგს უწევს და აანალიზებს საბაზრო რისკის ინდიკატორებს, ხოლო შედეგებს აწვდის აპმკ-ს. გარდა ამისა, ის ვალდებულია წარუდგინოს აპმკ-ს რეკომენდაციები საბაზრო რისკის დონის შემცირების მიზნით, მათ შორის რისკის შემცველი ინდივიდუალურ გარიგებების დადებისას.

საოპერაციო რისკი:

საოპერაციო რისკების მართვა წარმოადგენს ბანკის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. საოპერაციო რისკის მართვის მიზანია საოპერაციო რისკის შენარჩუნება ბანკის მიერ განსაზღვრულ

დონეზე. პრიორიტეტს წარმოადგენს აქტივებისა და კაპიტალის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლო დანაკარგების შემცირების (გამორიცხვის) გზით.

საოპერაციო რისკების სამმართველო ყოველდღიურად უწევს მონიტორინგს საოპერაციო რისკებს და რეკომენდაციებით ხელს უწყობს მათ თავიდან აცილებას, ან ჰეჯირება/მიტიგაციას. ამ მიზნით, ხდება პროდუქტებისა და პროცესებისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკების შეფასება და ანალიზი, აგრეთვე, რეკომენდაციების შემუშავება და ბანკის დირექტორატზე წარდგენა. პროგრამული უფლებების მატრიცის შეფასება და დამტკიცება ხორციელდება ინფორმაციული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მიერ. ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც საჭიროა რისკის შეფასების, კონტროლის ეფექტურობის განსაზღვრისა და პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირებისათვის, ბანკში გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

– საოპერაციო რისკების დანაკარგების მონაცემთა ბაზები;

– საოპერაციო რისკების იდენტიფიცირება ახალ პროდუქტებში/მომსახურებაში;

– საოპერაციო რისკების თვითშეფასების პროცედურა;

– საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორების მონიტორინგი;

- სცენარული ანალიზი;

– ბიზნეს-უწყვეტობის გეგმის ტესტირება;

ბანკის რისკების მართვის კულტურიდან გამომდინარე, საოპერაციო რისკების მართვის პროცესში მონაწილეობს ბანკის ყველა თანამშრომელი. თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი / რისკის კოორდინატორი პასუხისმგებელია თავისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე და საოპერაციო რისკების ეფექტურად მართვაზე. აგრეთვე ბანკის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია იზრუნოს საოპერაციო რისკების შემცირებაზე. საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლების მიზნით ბანკის თანამშრომლებს ყოველწლიურად უტარდებათ ტრენინგი და ტესტირების მეშვეობით მოწმდება მიღებული ცოდნის დონე.

ბანკში ჩამოაყალიბებულია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესი, რომელიც საოპერაციო რისკის მართვის განუყოფელი ნაწილია და მოიცავს პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინციდენტების შემთხვევაში კრიტიკული ბიზნეს პროცესების უწყვეტობისა და დროული აღდგენის უზრუნველყოფას. ბიზნესის უწყვეტობის მართვის მთავარი მიზანია - მინიმუმამდე დაიყვანოს ინციდენტებით გამოწვეული ოპერატიული, ფინანსური, სამართლებრივი, რეპუტაციული და სხვა უარყოფითი შედეგები, ასევე კარგად გაანალიზებული და განსაზღვრული სისტემის შექმნა. ყოველწლიურად ბანკი ახორციელებს ბიზნესუწყვეტობის გეგმების ტესტირებას. ჩატარებული ტესტირების შესახებ ანგარიშები წარედგინება ბანკის დირექტორატს.

საოპერაციო რისკის მართვის პროცესში საოპერაციო რისკების სამმართველო ახორციელებს სავალდებულო სისტემატიურ რეპორტინგს მენეჯმენტისთვის.

რეპუტაციული რისკი

რეპუტაციული რისკები, რომლებიც თან ახლავს კლიენტებს, პროდუქტებს, საბანკო პროცესებს, წარმოადგენს შესაბამისი სტრუქტურული ქვეგანყოფილებების პასუხისმგებლობას, რომელთა მოვალეობაში შედის მათი მართვა. გარდა ამისა, ბანკის დამოუკიდებელი სამსახურები (მაგ: შიდააუდიტის დეპარტამენტი, რისკების მართვის სამმართველოები, უსაფრთხოების სამმართველო და

სხვ.) დამატებით აგებენ პასუხს რეპუტაციული რისკის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში საკითხის ინიცირებაზე და უფლებამოსილი ორგანოებისათვის განსახილველად წარდგენაზე. ბანკის სახელისა და რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რისკის დონეების მიხედვით განიხილება და წყდება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის სხდომებზე.

სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკის მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს წარმოადგენს ბანკის დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკის დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებენ სტრატეგიული რისკის მართვას ბანკის განვითარების სტრატეგიის, ბიზნეს-გეგმის შემუშავების გზით. ბანკის განვითარების სტრატეგიის, ბიზნეს-გეგმის შემუშავება და მოწონება ხდება დირექტორატის მიერ და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ბანკის შიდადოკუმენტების თანახმად.

ბანკის განვითარების სტრატეგია დგება არანაკლებ 3 წლის ვადით და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, დაკორექტირდეს მიღწეული შედეგებისა და საბაზრო პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

სამართლებრივი და შესაბამისობის რისკები

სამართლებრივი რისკის მართვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, არარეზიდენტებთან, სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობასთან და ბანკის შიდადოკუმენტებთან შესაბამისობა.

ბანკისა და მისი ფილიალების იურიდიული განყოფილებების ძირითადი ამოცანაა სამართლებრივი რისკის შემცირება ბანკის საქმიანობაში. ამ მიზნით, ბანკის ქვეგანყოფილებები ვალდებულნი არიან, განახორციელონ საკუთარი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, ბანკის შიდაწესებთან და დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება.

ბანკის საქმიანობაში შესაბამისობის რისკის შემცირებაზე პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური მონიტორინგისა და შესაბამისობის სამმართველო, რომლის ძირითადი ამოცანაა - ბანკის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისაკენ მიმართული ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფა. სამმართველოს ფუნქციებია: მონაწილეობის მიღება, ბანკის იმ შიდა დოკუმენტების შემუშავებაში, რომელიც არეგულირებს სამმართველოს საქმიანობას, ასევე იმ პროცედურებს, რომლებიც მიმართულია შესაბამისობის რისკის წარმოქმნის აღკვეთისაკენ; ბანკის პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა AML, CFT საკითხებთან მიმართებაში; ბანკთან დაკავშირებული პირების შესახებ მონაცემთა საერთო ბაზის წარმოება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით; შესაბამისობის პროცესის მონაწილეთა ერთმანეთს შორის, გენერალურ დირექტორთან, შიდა აუდიტის დეპარტამენტთან ურთიერთქმედების კოორდინაცია; სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში ბანკის თანამშრომლებისათვის კონსულტაციების მიცემა ბანკის საქამიანობაში შესაბამისობის რისკის შემცირების საკითხებთან დაკავშირებით; ბანკის პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა FATCA საკითხებთან მიმართებაში.

ICAAP, ILAAP, სტრეს-ტესტები და გაჯანსაღების გეგმა

ბანკი ამზადებს ICAAP-ის (შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის) და ILAAP-ის (შიდა ლიკვიდობის ადეკვატურობის შეფასების პროცესის) ანგარიშებს, რომელებშიც აღწერილია რისკების შეფასებისა და მართვის პროცესები ბანკში, აღწერილია პოლიტიკა-პროცედურები, აგრეთვე სხვადასხვა მოდელების საფუძველზე დათლილია ბუფერები, რომლებიც ბანკის შეფასებით საჭიროა ყველა მატერიალური რისკის დასაფარად. აგრეთვე, ბანკში რეგულარულად ტარდება სტრეს-ტესტები სასესხო პორტფელზე, ფინანსურ რისკებზე, მათ შორის, საზედამხედველო მაკროსცენარების გამოყენებით. სტრეს-ტესტები აჩვენებს ბანკის მოწყვლადობას სხვადასხვა რისკების მიმართ და კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების საჭირო დონეს. გასათვალისიწნებელია, რომ ბანკი ყოველწლიურად ანახლებს გაჯანსაღების გეგმას, სადაც განხილულია იდიოსინკრეტული, სისტემური და კომბინირებული სტრესული სცენარები და მათ მიხედვით შედგენილია ბანკის გაჯანსაღების ზომები ლიკვიდობის, კაპიტალის, პორტფელის ხარისხისა და მომგებიანობის შენარჩუნების მიზნით.

რისკის აპეტიტები

რისკების მართვის მიზნით, განისაზღვრა რისკის აპეტიტის მაჩვენებლები ყველა ძირითადი მატერიალური რისკისათვის (საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ეფექტიანობის, მთლიანად რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისთვის), რომლებიც დგინდება სამეთვალყურეო საბჭოზე ყოველწლიურად, რისკების კურატორის ანგარიშისა და რისკების კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე. დირექტორატი პასუხუსმგებელია რისკების აპეტიტის მაჩვენებლების სისწორეზე და დაცვაზე. მონიტორინგს რისკების აპეტიტების დაცვაზე აწარმოებს ფინანსური რისკების და პორტფელური ანალიზის სამმართელო და საოპერაციო რისკების სამმართველო, რომლებიც წარუდგენენ ყოველკვარტალურად ანგარიშს დირექტორატს. თავის მხრივ, დირექტორატი ანგარიშვალდებულია რისკების კომიტეტის მიმართ, რომელიც ამზადებს შემდგომ რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსთვის.

საკრედიტო რისკის მიტიგაცია

საკრედიტო რისკის მიტიგაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უზრუნველყოფის შეფასების გამართული სისტემა. კერძოდ, უზრუნველყოფის შეფასება ხდება „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების“ (IVS) მოთხოვნების შესაბამისად, საგირავნო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება საბაზრო ღირებულების საფუძველზე, რეგლამენტში წარმოდგენილი დისკონტის გამოყენებით, რომელიც იცვლება ქონების ტიპის მიხედვით. საგირავნო უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას ახორციელებენ პროფესიონალი შიდაშემფასებლები, განურჩევლად შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულებისა. ამრიგად, კლიენტთა მოძიება/კრედიტუნარიანობის შეფასების პროცესში ჩართული თანამშრომლები არ მონაწილეობენ უძრავი ქონების შეფასების პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელია ბანკის გენერალური დირექტორი, ან შეფასების განყოფილების თანამშრომელი, შეფასება ხორციელდება გარეშემფასებლების მიერ. ასევე, გარეშემფასებელი აფასებს ბანკის მიერ დასაკუთრებულ ქონებას. უძრავი/მოძრავი ქონების ინსპექტირება ხორციელდება სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ და ფიქსირდება ქონების მდგომარეობა და სხვა ფასწარმომქმნელი ფაქტორები. უძრავი ქონების გადაფასება ხორციელდება სულ მცირე, 12 თვეში ერთხელ. დროზე ადრე გადაფასების მიზეზს შეიძლება

წარმოადგენდეს შემთხვევა, თუ ხდება სესხის რესტრუქტურიზაცია, ან სახეზეა ქონების ფიზიკური მდგომარეობის ცვლილება. აგრეთვე, საკრედიტო რისკის მიტიგაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები. 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიტიგაციის ინსტრუმენტების ჯამურმა საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 13,065 ათასი ლარი. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, ბანკი ახორციელებს ჯამური რისკის პოზიციის 1,5%-ის მიტიგაციას.





გარე ინსტიტუტების საკრედიტო რეიტინგები

ფინანსური ინსტიტუტებისა და სუვერენული ქვეყნების მიმართ საკრედიტო რისკის შესაფასებლად, ბანკი აქტიურად იყენებს საერთაშორისო ფინანსური სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ საკრედიტო რეიტინგებს - კერძოდ, FITCH, S&P და Moody's. მათ შორის, როგორც წესი, აირჩევა ყველაზე კონსერვატული და ყველაზე ბოლო შეფასება. საერთაშორისო რეიტინგები გამოიყენება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების დათვლის დროსაც კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის, აგრეთვე, IFRS 9-ის მიხედვით რეზერვების ფორმირებისას სახაზინო ოპერაციებისა და ფასიანი ქაღალდებზე. გარდა ამისა, საცალო სესხების ანალიზის დროს, გათვალისწინებულია „კრედიტინფო საქართველოს" საკრედიტო რეიტინგებიც.

გარემოს დაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები

სტრატეგია და მიზანი

ბანკი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერებით ადამიანების წინაშე, იღებს ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ მისი თანამშრომლების, არამედ მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაში. სამუშაო ადგილებზე მრავალფეროვნების შექმნა, ბანკის ოფისებსა და ფილიალებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში მონაწილეობა, ბანკის შიდა პოლიტიკები (მდგრადი განვითარების პოლიტიკა, ეკოლოგიური პოლიტიკა, მექრთამეობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, ანტიკორუფციული და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა, ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა, ეთიკის პოლიტიკა), ეს არის ბანკის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი რითიც ცდილობს დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე.

„ხალიკ“ ჯგუფის სტრატეგიაზე, საქართველოს კორპორატიული მართვის კოდექსზე დაყრდნობით, მდგრადი განვითარების დარგის სტანდარტებით და პასუხისმგებელი დაფინანსების სფეროს საერთაშორისო პრინციპებით ხელმძღვანელობის გზით, ბანკი თავის საქმიანობაში ESG და მდგრადი განვითარების მიმართულებით ხელმძღვანელობს შვიდი პრინციპით:



ბანკი აცნობიერებს, რომ ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადი განვითარება დამოკიდებულია სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში საერთო მსოფლიო ამოცანების გადაწყვეტაზე და ახალ, უფრო მდგრად ეკონომიკურ მოდელზე გადასვლაზე, რაც შესაძლებელია ESG ტრანსფორმაციის საფუძველზე.

ბანკი აცნობიერებს საკუთარ მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში და ითვალისწინებს ამასთან დაკავშირებულ უნიკალურ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს, ცდილობს საუკეთესო კუთხით მოახდინოს საკუთარი პოტენციალის რეალიზაცია და გამოიყენოს შესაძლებლობები ბიზნესისა და ქვეყნის ESG-ტრანსფორმაციისთვის.

ბანკი იზიარებს ერთგულებას საერთაშორისო და ეროვნული მიზნებისადმი, სტანდარტებისა და პრინციპებისადმი ESG და მდგრადი განვითარების სფეროში, მათ შორის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისადმი (UN Sustainable Development Goals), გაეროს გლობალური ხელშეკრულების პრინციპებისადმი (Principles of the UN Global Compact), პასუხისმგებლობითი საბანკო საქმიანობის პრინციპებისადმი (Principles for Responsible Banking UNEP FI) და სხვა გლობალური ინიციატივებისადმი.

ESG-ს და მდგრადი განვითარების სფეროში ბანკის საქმიანობის მთავარი მიზანია: გახდეს ESG-ს სფეროში სისტემური ცვლილებების მონაწილე ეროვნულ დონეზე, რათა შეიქმნას საზოგადოებისა და გარემოს შენარჩუნებისთვის ეფექტური, ძლიერი ეკონომიკა, რომელიც დაეფუძნება ჩვენი თანამშრომლების, კლიენტების, აქციონერების, ინვესტორების, პარტნიორებისა და სახელმწიფოს დაინტერესებას, თანამშრომლობასა და განვითარებას.

მრავალფეროვნება

მაღალკვალიფიციური და სტაბილური პროფესიონალთა გუნდის შენარჩუნების მიზნით, ბანკი უზრუნველყოფს დასაქმების და პროფესიული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს, ქმნის პირობებს ყველა თანამშრომლის პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის და ხელს უწყობს ინოვაციური აზროვნებისა და კარიერული ზრდის კულტურის ჩამოყალიბებას.

ბანკი მუდმივად აკომპლექტებს პროფესიონალთა გუნდს კანდიდატების პროფესიული გამოცდილების, პიროვნული თვისებებისა და მოტივაციის საფუძველზე, სრულად გამორიცხავს ნებისმიერ დისკრიმინაციულ ფაქტორს, მათ შორის წარმომავლობით, სოციალურ, თანამდებობრივ, ქონებრივ, კულტურულ, ასაკობრივ, გენდერულ, რასობრივ, რელიგიურ თუ სხვა ნიშნით.

გარდა ამისა, ბანკი აქტიურად მუშაობს თანამშრომელთა ჩართულობის, კორპორატიული კულტურისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე, რათა თითოეულმა თანამშრომელმა იგრძნოს კომპანიის მხარდაჭერა, საკუთარი პროფესიული მნიშვნელობა და განვითარებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა.





მმართველობა

მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტურად მისაღწევად ბანკს შემუშავებული აქვს შემდეგი პოლიტიკები:

- მდგრადი განვითარების პოლიტიკა
- ეკოლოგიური პოლიტიკა
- ეთიკის კოდექსი
- კორპორაციული მართვის კოდექსი
- ანტიკორუფციული/ქრთამის აღების საწინააღმდეგო პოლიტიკა
- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა

- ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა

2022 წელს ბანკმა დაამტკივა სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების პრინციპებისა და მიზნების განხორციელების შესახებ. გეგმა შედგება 9 ღონისძიებისგან რომელიც ემსახურება ბანკის მხრიდან გარემოზე საკუთარი გავლენის მართვას, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას და შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებას, მათ შორის მდგრადობის ანგარიშის მომზადებას.

ბანკის წარმომადგენლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას საზედამხედველო ორგანოების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საბანკო ასოციაციის მიერ ჩატარებულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც მიძღვნილია მდგრადი განვითარების მიმართულების ძირითადი პრინციპების და მოთხოვნების გაანალიზებასა და ცნობადობის ამაღლებისკენ. ბანკს მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი.

„ხალიკ ჯგუფი“-ს კორპორატიული მიმართულების გუნდი შვილობილი ორგანიზაციებისათის ასევე პერიოდულად ატარებს კორპორატიული მართვის სასწავლო კურსებს, რომლის დროსაც ვრცლად არის განხილული „ხალიკ ჯგუფ“-ში ESG პრინციპების იმპლემენტაციის დანერგვის რეკომენდაციები და მეთოდები.

ESG საკითხების ზედამხედველობა წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მანდატს ხოლო აღმასრულებელ დონეზე მდგრადი განვითარების პრინციპების და მიზნების დანერგვა/განხორციელება და შესაბამისი ანგარიშგება უმაღლესი მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა.

ანაზღაურების პოლიტიკა

დირექტორატის ანაზღაურების განმსაზღვრელი სტრუქტურაა სამეთვალყურეო საბჭო. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საბჭო წინასწარ ათანხმებს ანაზღაურების ოდენობას სათავო ბანკის პერსონალის დეპარტამენტთან და ჯგუფის კაპიტალის მართვის დეპარტამენტთან. თავის მხრივ პერსონალის დეპარტამენტი, ზოგადი საბაზრო კვლევის საფუძველზე, რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს, დამტკიცებული ანაზღაურების სქემის ფარგლებში, დირექტორატის ანაზღაურების საკითხებზე. ბანკის ანაზღაურების სისტემა წარმოადგენს პერსონალის მართვის ძირითად შემადგენელ ნაწილს და დაფუძნებულია ბანკის მოღვაწეობის სპეციფიკაზე, კორპორატიულ ფასეულობებზე, მიზნებსა და სტრატეგიაზე. ანაზღაურების სისტემა ხელს უწყობს ბანკის შემდეგი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას: კვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნება იმ პირობით, რომ ხელი არ შეეშალოს კაპიტალის ჯანსაღ აკუმულირებას; თანამშრომლების პროფესიული მიღწევების წახალისება; შრომის ანაზღაურების ერთიანი კორპორატიული სტანდარტების შექმნა; თანამშრომლებს შორის სტაბილურობის, დაცულობისა და ორგანიზაციის მხრიდან მზრუნველობის შეგრძნების გაძლიერება. ბანკში განისაზღვრა მატრიალური რისკის ამღებ პირთა თანამდებობრივი პოზიციები.
თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა შედგება სამი კომპონენტისაგან - შრომის ანაზღაურება, ფრონტის თანამშრომლების გაყიდვებთან დაკავშირებული საბონუსე სქემა, კვარტალური გაცემები და კომპენსაცია/შეღავათები:
შრომის ანაზღაურების შემადგენელია:
1) გარანტირებულ თანამდებობრივი სარგო;
2) წლის შედეგების მიხედვით გამომუშავებული პრემია;
3) ყოველთვიური საბონუსე სქემა.

კვარტლური სამოტივაციო გაცემები შეადგენს ფიქსირებული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 11%-ს, გაიცემა კვარტალში ერთხელ და დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდში სტრუქტურულ ერთეულებში თანამშრომელთა მოღვაწეობის შედეგებზე. აღნიშნული სისტემა ვრცელდება ბანკის ყველა თანამშრომელზე, გარდა უმაღლესი მენეჯმენტისა (სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი), SME და საცალო გაყიდვების მიმართულების თანამშრომლებზე და ტექნიკური ან დამხმარე პერსონალისა.
თანამშრომელთა ანაზღაურების განსაზღვრისას, ბანკი ეყრდნობა შემდეგ ძირითად ფაქტორებს:
1) შრომის ბაზრის ანალიზი, რომელიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ბანკის თანამშრომელთა ხელფასების შესაბამისობა რეგიონულ შრომის ბაზარზე არსებული სპეციალობების საბაზრო მაჩვენებლებთან. ამ მიზნით, ბანკი მონაწილეობს დამოუკიდებელი გარეშე კომპანიების მიერ ორგანიზებულ ბაზრის სახელფასო კვლევებში. შრომის ბაზარზე ცვლილებების მიხედვით, ბანკი აკორექტირებს შრომის ანაზღაურების დიაპაზონს.
2) თანამდებობების რანჟირება, რომელიც იძლევა საშუალებას, განისაზღვროს ამა თუ იმ პოზიციის მნიშვნელობა (ფასეულობა) ბანკისათვის.

თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის პროცედურა:
ბანკის დირექტორატი დამოუკიდებლად ამტკიცებს სათავო ოფისისა და ფილიალების თანამდებობების მიხედვით ხელფასების მაქსიმალურ და მინიმალურ დიაპაზონებს, ე.წ. სქემების სახით. კონკრეტული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული სქემის ფარგლებში და დამოკიდებულია დაკავებული პოზიციის, კვალიფიკაციისა და შესასრულებელი სამუშაოს სირთულეზე. თანამშრომლების მუშაობის ეფექტიანობის წახალისების მიზნით, ბანკი გასცემს პრემიას წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით. ამის ძირითადი პირობაა ბანკის მიერ დაგეგმილი ფინანსური შედეგების და ბიზნეს-გეგმის პარამეტრების მაჩვენებლების არანაკლებ 90%-იანი შესრულება. საქმიანობის შედეგების ძირითადი მაჩვენებლები (ფინანსური შედეგების და ბიზნეს-გეგმის პარამეტრები) მტკიცდება ყოველწლიურად, KPI-ის სახით და წამოადგენს როგორც უმაღლესი მენეჯმენტის, ისე მთლიანად ბანკის შეფასების ინსტრუმენტს.

კორპორატიული, საბარათე ექვაირინგის და ხაზინის სამმართველოები მიეკუთვნებიან ფრონტ-ოფისს და მათი სტრუქტურული ერთეულების პრემიის ოდენობა აღემატება დანარჩენი ბექ-ოფისის სტრუქტურის თანამშრომლების პრემიის ოდენობას.
თანამშრომლის პრემია იანგარიშება ინდივიდუალურად, განსაზღვრული პრემირების სქემის საფუძველზე, თანამდებობის და ქვედანაყოფის გათვალისწინებით და გადაანგარიშდება ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად, ხელფასის, თანამდებობისა და ქვედანაყოფის ცვლილების შესაბამისად.

თანამშრომლების (დირექტორატის, აუდიტის კომიტეტისა და შიდააუდიტის გარდა) პრემიების ოდენობის დამტკიცებას უზრუნველყოფს ბანკის დირექტორატი, ხოლო დირექტორატის, აუდიტის კომიტეტისა და შიდააუდიტის დეპარტამენტის პრემიების ოდენობას - სამეთვალყურეო საბჭო.
2019 წლის ბოლოს კორპორატიული მართვის კოდექსის მოთხოვნების თანახმად, ბანკის დირექტორატისა და მატერიალური რისკის ამღებ სხვა პირთა ანაზღაურების პოლიტიკაში შევიდა ცვლილებები: ცვალებად ანაზღაურებას შეეხო გადავადებისა და შეკავების პრინციპები.

- **შეკავების პრინციპი** - ცვალებადი ანაზღაურების გადაუვადებელი ნაწილი, , ექვემდებარება მინიმუმ 1-წლიან შეკავების პერიოდს.
- **გადავადების პრინციპი** - წლიური ანაზღაურების ცვალებადი ნაწილის არანაკლებ 40%-ის გადახდა გადავადდება 3 წლამდე პერიოდით.

- **გადახდის ფორმები** - ცვალებადი ანაზღაურების, როგორც გადავადებული, ისე გადაუვადებელი ნაწილი გაიცემა ფულადი სახით.

2024 წლის განმავლობაში ბანკის დირექტორატზე, სამეთვალყურეო საბჭოსა და სხვა მატერიალური რისკების ამღებ პირებზე მინიჭებული ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში, ცხრილი N24-ის სახით.

2024 წლის განმავლობაში გადავადებული ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში, ცხრილი N26-ის სახით.